ეროვნული
ბიბლიოთეკა

ПРОЛЕТАРЕБО ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს ფურცელი

№ 5 (304)

1966 წლის მაისი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 5 (304) მაისი 1966 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

66. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ.
67. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.
68. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლში დამატების შეტანის შესახებ.
69. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ კანონის მე-8 მუხლში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის თაობაზე.
70. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ საქართველოს სსრ 1957 წლის 29 მაისის კანონის ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე.
71. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში ინვალიდთა სახლების მუშაობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 29 იანვრის დადგენილების შესრულების თაობაზე.
72. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ფ. მახარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შესასრულებლად დაშვების შესახებ.
73. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ გეგეჭკორის რაიონში ტალერის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ.
74. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.

განყოფილება მეორე

75. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
76. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

77. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
78. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ნ. ვ. პაიჭაძისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
79. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
80. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
81. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. გ. ცხოვრებაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
82. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ვ. თევდორაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
83. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ვ. ჩოხელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
84. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ა. გობრონიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
85. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ფ. ტაკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
86. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. ა. ჭერაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
87. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. ნ. მხეიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
88. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „კოლმეურნეს“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.
საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

66 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს არჩევნების დებულების სრული შესაბამისობით, დაწესებულ ვადაში შეიქმნა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ რესპუბლიკური და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიები, კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები, აგრეთვე საარჩევნო უბნები და საუბნო საარჩევნო კომისიები. საარჩევნო ოლქები და უბნები მომარაგებული არიან არჩევნებისათვის საჭირო დოკუმენტაციის ბლანკებით, საარჩევნო ლიტერატურით, ინვენტარით და სხვა ხელსაწყოებით.

დიდი აღმავლობით დაიწყო დეპუტატობის კანდიდატების წამოყენება და ორგანიზებულად ტარდება წინასაარჩევნო საოლქო კრებები. რაიონულმა და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა ჩაატარეს საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისა და მდივნების საინსტრუქტაჟო თათბირები, სადაც მათ გააცნეს უფლება-მოვალეობანი და საარჩევნო დოკუმენტაციის შედგენის წესი.

საარჩევნო კომისიებმა, თავიანთ პირველ სხდომაზე, გაანაწილეს ფუნქციები კომისიის წევრთა შორის, შეადგინეს სამუშაო გეგმები და დასახეს საჭირო ღონისძიებანი არჩევნების მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩასატარებლად.

რესპუბლიკის საწარმოებში, კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში, სახალხო-სამეურნეო გეგმების ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულების მიზნით, ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. მიმდინარეობს სააგიტაციო მასობრივი მუშაობა ამომრჩეველთა შორის. აგიტატორები მოსახლეობას ფართოდ აცნობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, არჩევნების დებულებას და საბჭოთა დემოკრატიზმის საფუძვლებს.

ამასთან ერთად, პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ არჩევნებისათვის მზადების საქმეში ადგილი აქვს გარკვეულ ნაკლოვანებებს.

როგორც შემოწმებით გამოირკვა, ზოგიერთ საუბნო საარჩევნო კომისიას ჯერ კიდევ სათანადოდ არ ჰქონდა გაშლილი მუშაობა, გაფორმებული არ იყო საუბნო საარჩევნო კომისიების შენობები, დაწესებული არ იყო მორიგეობა და შედგენილი არ ჰქონდათ სამუშაო გეგმა.

შემოწმების დროისათვის გურჯაანის რაიონული საბჭოს აღმასკომს ჩატარებული არ ჰქონდა საუბნო საარჩევნო კომისიათა თავმჯდომარეებისა და მდივნების საინსტრუქტაჟო თათბირი, ჭანდრის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მიერ შედგენილ ამომრჩეველთა სიაში გამოტოვებული იყო ზოგიერთ ამომრჩეველთა სახელი და მამის სახელი. ბორჯომის რაიონში გაუფორმებელი იყო

ზოგიერთი საუბნო საარჩევნო კომისიის შენობა, ხოლო ზესტაფონის რაიონის
რიგ საუბნო საარჩევნო კომისიას ჩატარებული არ ჰქონდა სხვადასხვა ზოგიერთ
საარჩევნო უბანში მოწოდების სიმაღლეზე არ დგას სააგიტაციო მასობრივი
მუშაობა, რეგულარულად არ ტარდება კულტ-მასობრივი ღონისძიებანი, მოხ-
სენებები, ლექციები, კონსულტაციები და კითხვა-პასუხის საღამოები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაი-
ონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ სსრ კავშირის
უმაღლესი საბჭოს არჩევნების მზადებასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიე-
ბის განხორციელება დებულებით დაწესებული ვადისათვის, ამ მიზნით:

ა) დროულად მოაწყონ საარჩევნო უბნები არჩევნების დებულების მო-
თხოვნათა სრული შესაბამისობით, კარგად და მიმზიდველად გააფორმონ საარ-
ჩევნო უბნების შენობები, დროულად მოამარაგონ ისინი საარჩევნო ყუთებით,
ბეჭდებით, საკანცელარიო ნივთებითა და ჯიხურების მოსაწყობად საჭირო მა-
სალით. მიაღწიონ იმას, რომ საარჩევნო უბნები უზრუნველყოფილ იქნას
განათებით, სატელეფონო კავშირით. ამასთან, მთის სოფლებში არსებულ საარ-
ჩევნო უბნებთან კავშირის დასამყარებლად შექმნან ახალგაზრდათა ჯგუფები
და მოამარაგონ ისინი საჭირო ხელსაწყოებითა და ტრანსპორტით;

ბ) განმეორებით შეამოწმონ რამდენად სწორად არის შედგენილი ამომრ-
ჩეველთა სიები და დროულად დააზუსტონ იმ ახალგაზრდა ამომრჩეველთა და-
ბადების თვე და რიცხვი, რომელთაც არჩევნების დღისათვის უსრულდებათ 18
წელი და შეიტანონ ისინი ამომრჩეველთა სიაში;

გ) სერიოზული ყურადღება მიაქციონ და დროულად განიხილონ კომისიის
სახელზე შემოსული მშრომელთა განცხადებები, რომლებიც არჩევნების სა-
კითხებს ეხება, და მისცენ მათ ამომწურავი პასუხი;

დ) მიიღონ ზომები, რომ სათანადო ენებზე დროულად და საკმაო რაოდე-
ნობით დაიბეჭდოს საარჩევნო ბიულეტენები და უზრუნველყონ დაწესებულ
ვადაში მათი ჩაბარება საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის;

ე) ფართოდ გაშალონ სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა მოსახლეობაში,
მოაწყონ მოხსენებები, ლექციები და საუბრები არჩევნების დებულების, სსრ
კავშირის კონსტიტუციისა და საბჭოთა დემოკრატიზმის ძირითადი პრინციპების
საკითხებზე. ამასთანავე, ფართოდ გააცნონ ამომრჩევლებს სსრ კავშირის უმაღ-
ლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა საქმიანობა;

ვ) შეამოწმონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების
მიმდინარეობა, დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნ-
ველყოფენ არჩევნების მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩატარებას.

2. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო და რაიონული
საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმისათვის სათანადო ინფორმაციის მოწოდება სსრ კავშირის უმაღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დადგენილ ვადაში, დადგენილი ფორმების მიხედვით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1966 წლის 12 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

67 საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

„სასამართლოში განქორწინების საქმის განხილვის წესის რამდენადმე შეცვლის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 10 დეკემბრის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსში შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. კოდექსის 26-ე და 27-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„26. ქორწინება, ვიდრე მეუღლენი ცოცხალნი არიან, შეიძლება შეწყდეს მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით, ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის განცხადების საფუძველზე.

განქორწინების საქმეს განიხილავს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლო ღია სხდომაზე. მეუღლეთა თხოვნის შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილებით, განქორწინების საქმე, აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება მოსმენილ იქნეს სასამართლოს დახურულ სხდომაზე.

27. ქორწინების შეწყვეტის შესახებ სასამართლო წარმოების აღსაძრავად სავალდებულოა შემდეგ მოთხოვნათა დაცვა:

ა) სახალხო სასამართლოში განცხადების წარდგენა, რომელშიც გამოთქმულია განქორწინების სურვილი და აღნიშნულია გაყრის მოტივები, მეუღლის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი და საცხოვრებელი ადგილი; განქორწინების შესახებ განცხადების შემტანს გადახდება 10 მანეთი;

ბ) სასამართლოში მეუღლის გამოძახება გაყრის შესახებ შეტანილი განცხადების გასაცნობად, გაყრის მოტივების წინასწარ გამოსარკვევად, აგრეთვე მოწმეების დასადგენად, რომელთა გამოძახება საჭიროა სასამართლო განხილვის დროს“.

2. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 28-ე, 29-ე და 30-ე მუხლები:

„28. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლო მოვალეა გამოარკვიოს განქორწინების შესახებ განცხადების შეტანის მოტივები და მიიღოს ზომები მეუღლეთა შესარიგებლად.

სახალხო სასამართლოს შეუძლია საქმის გარჩევა გადადოს და დაუნიშნოს მეუღლეებს ვადა შერიგებისათვის.

თუ მეუღლეთა შერიგება არ მოხერხდა და სასამართლო დაადგენს, რომ მეუღლეთა შემდგომი ერთად ცხოვრება და ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელია, სახალხო სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება განქორწინების შესახებ.

29. განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას სახალხო სასამართლო მოვალეა:

ა) დაადგინოს, რომელი შვილი რომელ განსაქორწინებელ მეუღლესთან რჩება, და აგრეთვე რომელ მშობელს და რა ოდენობით გადახდება შვილების შესანახი სახსრები;

ბ) დაადგინოს განსაქორწინებელ მეუღლეთა შორის ქონების ნატურით თუ წილობრივად გაყოფის წესი;

გ) მიანიჭოს თვითეულ განქორწინებულ მეუღლეს, მისი სურვილისამებრ, ქორწინებამდელი გვარი;

დ) განსაზღვროს თანხის ოდენობა (50 მანეთიდან 200 მანეთამდე), რაც უნდა გადახდეს ერთს ან ორივე მეუღლეს, განქორწინების მოწმობის გაცემისას.

30. სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება განქორწინების საქმეზე შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს საერთო წესით".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1966 წლის 12 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

68 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაემატოს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლს შემდეგი შინაარსის მე-12 პუნქტი:

„12) სიმთვრალეში დანაშაულის ჩადენა თუ იგი მიმართულია:

ა) პიროვნების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ (104, 105, 108, 110-112, 115-117 მუხლები);

ბ) მმართველობის წესის წინააღმდეგ (207, 207[1], 209[1] მუხლები);

გ) საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ (228 მუხლი);

დ) სოციალისტური და მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ (92, 96, 151, 152 მუხლები);

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აგრეთვე

ე) თუ იგი დაკავშირებულია მომეტებული საფრთხის წყაროს გამოყენებასთან (86, 241, 243-245, 247, 270-272 მუხლები)".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1966 წლის 12 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

69 „საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ" კანონის მე-8 მუხლში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის თაობაზე

„სსრ კავშირში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ" კანონის მე-4 მუხლში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის თაობაზე" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 14 მარტის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. „საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ" საქართველოს სსრ 1959 წლის 18 აპრილის კანონის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წ., № 4, მუხ. 13) მე-8 მუხლის ნაწილობრივ შესაცვლელად დაწესდეს, რომ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომით პოლიტექნიკურ სკოლებში მოსწავლეები მიიღებენ საშუალო ზოგად და პოლიტექნიკურ განათლებას და შრომით აღზრდას, ხოლო სათანადო პირობების არსებობისას — აგრეთვე პროფესიულ მომზადებას.

2. ეს ბრძანებულება დასამტკიცებლად წარედგინოს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1966 წლის 12 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

70 „მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ" საქართველოს სსრ 1957 წლის 29 მაისის კანონის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„მრეწველობის მართვის ორგანოების სისტემის შეცვლისა და სახელმწიფო მართვის ზოგიერთი სხვა ორგანოს გარდაქმნის შესახებ" საქართველოს სსრ 1965 წლის 19 ოქტომბრის კანონის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ძალადაკარგულად ჩაითვალოს „მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ საქართველოს სსრ 1957 წლის 29 მაისის კანონი (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1957 წ. № 4, მუხ. 1).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1966 წლის 12 მაისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

71 საქართველოს სს რესპუბლიკაში ინვალიდთა სახლების მუშაობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 29 იანვრის დადგენილების შესრულების თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ პ. გელბახიანის მოხსენება „საქართველოს სს რესპუბლიკაში ინვალიდთა სახლების მუშაობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 29 იანვრის დადგენილების შესრულების თაობაზე, აღნიშნავს, რომ ინვალიდთა სახლების მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

უკეთ არის დაყენებული კულტურულ-მასობრივი და აღმზრდელობითი მუშაობა ინვალიდთა შორის, გაიზარდა ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი, გადიდდა გამოწერილი ჟურნალ-გაზეთების რაოდენობა. ინვალიდთა სახლებში სისტემატურად ეწყობა ლექციები, საუბრები, უჩვენებენ კინოსურათებს, მხატვრული თვითმოქმედების წარმოდგენებს; ინვალიდთა სახლები რადიოფიცირებულია.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ინვალიდთა სამედიცინო მომსახურება. ინვალიდთა სახლებს ემსახურება კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი, სპეციალისტები თვეში ერთხელ ატარებენ ინვალიდთა ჯანმრთელობის კომპლექსურ შემოწმებას, დამატებით გამოიყო სახსრები მედიკამენტების შესაძენად. გაუმჯობესდა სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, ინვალიდთა კვების საქმე; ინვალიდთა სახლები მარაგდება მრავალფეროვანი პროდუქტებით. უკეთ მუშაობენ კვების ბლოკები, უფრო ქმედითი გახდა საზოგადოებრივი კონტროლი.

თითქმის ყველა ინვალიდთა სახლს (გარდა ფოთის ინვალიდთა სახლისა) აქვს თავისი დამხმარე მეურნეობა, რაც საგრძნობლად უწყობს ხელს ინვალიდთა დასაქმებას და კვების გაუმჯობესებას. მაგალითად, კამანის ინვალიდთა სახლმა 1965 წელს დამხმარე მეურნეობიდან მიიღო 3.851 მანეთის პროდუქტი, მათ შორის, 501 კილოგრამი ღორის ხორცი, 14.993 ცალი კვერცხი, 770 კილო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრამი კარტოფილი, 450 კილოგრამი ხახვი, 310 კილოგრამი პამიდორი, 1525 კილოგრამი სიმინდი და ა. შ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ამასთან ერთად აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული დადგენილების განხორციელების საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს გარკვეულ ნაკლოვანებებს.

კამანის, თერჯოლის, ქუთაისისა და ცხაკაიას ინვალიდ ბავშვთა სახლებში ექიმები მუშაობენ შეთავსებით, ხოლო ბათუმისა და ფოთის ინვალიდთა სახლებს ემსახურებიან უბნის ექიმები. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ არ შეასრულა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 29 იანვრის დადგენილების ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა ინვალიდთა სახლების საექიმო პერსონალით დაკომპლექტებას, ხოლო ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირმა ვერ უზრუნველყვეს ინვალიდთა სახლების ბოსტნეულით, მწვანილით და ზოგიერთი სხვა პროდუქტით მომარაგება (კასპის რაიონის სოფ. ახალქალაქის ინვალიდთა სახლი).

მოუწესრიგებელია კვების პროდუქტებთან დაკავშირებული ანგარიშსწორება ინვალიდთა სახლებსა და სავაჭრო ორგანიზაციებს შორის.

არადამაკმაყოფილებლად სრულდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ინვალიდთა სახლებთან საშეფო მუშაობის გაუმჯობესების მხრივაც.

ინვალიდთა ზოგიერთი სახლი მოთავსებულია შეუფერებელ შენობაში. მაგალითად, თერჯოლის ინვალიდთა სახლის შენობა ძველი, დროებითი ტიპის უვარგისი ნაგებობაა, რაც ხელს უშლის სათანადო სანიტარული პირობების დაცვას. ცუდ მდგომარეობაშია ფოთის ინვალიდთა სახლი. იგი მოთავსებულია ძველ, სათავსოებს მოკლებულ შენობაში. თვითეულ ინვალიდზე მოდის 2,5 კვადრატული მეტრი ფართობი, ნაცვლად სულ ცოტა 4 კვადრატული მეტრისა. სახლს არ გააჩნია კეთილმოწყობილი აბაზანა, საშხაპე, სამრეცხაო. დიდი სივიწროვეა პალატებში, სასადილოში, წითელი კუთხე მოთავსებულია პატარა გასასვლელში. აღნიშნული სახლი ვერ უზრუნველყოფს ინვალიდთა შრომითს მოწყობას, მათ კულტურულ-მასობრივ მომსახურებას და სათანადო საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის სამინისტროებს, ცეკავშირის გამგეობას და მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის, ფოთის, ბათუმის საქალაქო და სოხუმის, კასპის, ცხაკაიას და თერჯოლის რაიონული საბჭოების აღმასკომებს განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი „საქართველოს სს რესპუბლიკაში ინვალიდთა სახლების მუშაობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 29 იანვრის დადგენილების განუხრელად შესრულებისათვის.

2. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ უმოკლეს დროში უზრუნველყოს ინვალიდთა სახლების ექიმებით დაკომპლექტება და განახორციელოს სათანადო ღონისძიებანი სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

3. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ მიიღონ საჭირო ღონისძიებანი იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომელიც კვლავ არსებობენ ინვალიდთა სახლების კვების პროდუქტებით მომარაგების საქმეში, უზრუნველყონ რომ სავაჭრო ორგანიზაციები ინვალიდთა სახლებს პროდუქტებს სრული ნორმით აწვდიდნენ და, ამასთანავე, განუხრელად იცავდნენ ანგარიშსწორების წესებს.

4. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო, სოხუმის და ცხაკაიას რაიონული საბჭოების აღმასკომებს განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რათა საშეფო ორგანიზაციებმა გააძლიერონ თავისი მუშაობა ინვალიდთა სახლებთან, ხოლო ბათუმისა და ფოთის საქალაქო, კასპისა და თერჯოლის რაიონული საბჭოების აღმასკომებმა მიიღონ აუცილებელი ზომები, რათა სათანადო ორგანიზაციებმა შეფობა გაუწიონ ინვალიდთა სახლებს, დახმარება აღმოუჩინონ მათ მხატვრული თვითმოქმედების საღამოების და წარმოების მოწინავეებთან შეხვედრების ჩატარებაში.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს ქალაქ ფოთში ინვალიდთა სახლის არსებობის მიზანშეწონილობის საკითხი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1966 წლის 12 მაისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

72 ამხ. დ. ფ. მახარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შესასრულებლად დაშვების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაშვებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შესასრულებლად ამხ. დიმიტრი ფილიპეს ძე მახარაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიაზე მის არჩევამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1966 წლის 12 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

73 საქართველოს სსრ გეგეჭკორის რაიონში ტალერის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გამოეყოს საქართველოს სსრ გეგეჭკორის რაიონის დიდი ჭყონის სასოფლო საბჭოს სოფლები ტალერი, პატარა ოჩე, ნობულევი და ეწერი და შეიქმმას მათგან ტალერის სასოფლო საბჭო ცენტრით — სოფელ ტალერში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1966 წლის 12 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

74 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესია 1966 წლის 23 ივნისს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1966 წლის 24 მაისი.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

75 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულთა გადარჩენისას გამბედაობისა და მოსაზრებულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდეს თეთრიწყაროს საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე სტეფანე გიორგის ძე **პოპოვი** მედლით **„წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1966 წლის 12 მაისი.

76 საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

იურისპრუდენციის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ **საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის** საპატიო წოდება:

1. ბიძინა არჩილის ძე **ბარათაშვილს** — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრს.

2. პავლე ეპიფანეს ძე **ბერძენიშვილს** — საქართველოს სსრ პროკურორს.

3. გრიგოლ სამსონის ძე **ბიწაძეს** — საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილეს.

4. ტარასი სევერიანეს ძე **ბუბაშვილს** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს.

5. ალექსი ვასილის ძე **ზედგინიძეს** — პენსიონერს.

6. გიორგი ესტატეს ძე **თარხნიშვილს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის იურისკონსულტს.

7. გიორგი ყირიმის ძე **იოსავას** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს.

8. კალანტარ სიმონის ძე **კალანტაროვს** — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს იურიდიული სექტორის უფროსს.

9. უშანგი თეიმურაზის ძე **კაპანაძეს** — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრს.

10. ლუბა მოსეს ასულ **კოხრეიძეს** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს.

11. დათიკო კონსტანტინეს ძე **კურასკუას** — აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს.

12. მიხეილ ყარამანის ძე **ლომიძეს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარეს.

13. ლევან ერასტის ძე **მახათაძეს** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კონსულტანტს.

14. მირიან მიხეილის ძე **მაჭავარიანს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული ჯგუფის გამგეს.

15. გრიგოლ რომანოზის ძე **ნადირაძეს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგამომძიებლო განყოფილების უფროსს.

16. აკაკი ნიკიფორეს ძე **პაიჭაძეს** — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს.

17. არონ ერმილეს ძე **ტაკიძეს** — ქ. თბილისის პროკურორს.

18. სერგო იასონის ძე **ქაჯაიას** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს.

19. ამბროსი მაქსიმეს ძე **ღლონტს** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პატიების საკითხების განყოფილების გამგეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. ნიკოლოზ იოსების ძე **წერეთელს** — საქართველოს პროფსაბჭოს ... რიდიული განყოფილების გამგეს.

21. ვასილ ნიკოლოზის ძე **ხმალაძეს** — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს საგამომძიებლო სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

22. თინათინ სოლომონის ასულ **ხვედელიძეს** — აჭარის ასსრ პროკურორის თანაშემწეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1966 წლის 12 მაისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

77 საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის დაარსების ორმოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით, ხანგრძლივი და ნაყოფიერი საინჟინრო მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ **საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის** საპატიო წოდება:

1. ლეონ მირონის ძე **ალანაკიანს** — ქარხნის საწარმოო განყოფილების უფროსს.
2. ლეონ ოგანეზის ძე **არაბაჯიანს** — ქარხნის მთავარ მექანიკოსს.
3. ანატოლ პავლეს ძე **ბალათურიას** — ქარხნის მთავარ ტექნოლოგს.
4. ირაკლი ვასილის ძე **დონდუას** — ქარხნის საამწყობო საამქროს უფროსს.
5. ვალენტინა ანტონის ასულ **ნიკოლოვას** — ქარხნის ლითონგადამმუშავებელი ჯგუფის უფროს ინჟინერ-ტექნოლოგს.
6. დავით გრიგოლის ძე **ჟორჟოლიანს** — ქარხნის დირექტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1966 წლის 12 მაისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

78 პროფესორ ნ. ვ. პაიჭაძისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცწლეულთან დაკავშირებით, პროფესორ ნოე ვარდენის ძე

პაიჭაძეს მიენიჭოს **საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1966 წლის 12 მაისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

79 **თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანთსაშენებელი ქარხნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაარსების ორმოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხანა დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1966 წლის 12 მაისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

80 **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის დაარსების ორმოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით, ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. ნადეჟდა იაკობის ასული **გორდიენკო** — ქარხნის მექანიკურ-საამწყობო საამქროს კონტროლიორი.
2. ბორის მიხეილის ძე **გრიგორიევი** — პენსიონერი.
3. პეტრე გრიგოლის ძე **გურნშტეინი** — პენსიონერი.
4. გიორგი ალექსის ძე **ერმოლოვი** — ქარხნის მთავარი მექანიკოსის მოადგილე.
5. დიმიტრი ვასილის ძე **იორდანიძე** — ქარხნის მექანიკურ-საამწყობო საამქროს ხარატი.
6. მიხეილ ანდრიას ძე **კოვალიოვი** — ქარხნის მექანიკურ-საამწყობო საამქროს ხარატი.

7. სურენ არტემის ძე **მალხასიანი** — ქარხნის მექანიკურ-საამწყობო საამქროს უფროსი ოსტატი.

8. მიხეილ მოსესის ძე **პეტროსიანი** — ქარხნის სარემონტო-მექანიკური საამქროს ზეინკალი.

9. ოლღა ნიკოლოზის ასული **სტროევა** — ქარხნის მთავარი ბუღალტერის მოადგილე.

10. ალექსანდრე ეპიფანეს ძე **უსტენკო** — ქარხნის სარემონტო-მექანიკური საამქროს ზეინკალი.

11. გიორგი ივანეს ძე **ყველაშვილი** — პენსიონერი.

12. ილია დომენტის ძე **ჩაჩავა** — ქარხნის ინსტრუმენტალური საამქროს უფროსი.

13. სიმონ პეტრეს ძე **ჭოხონელიძე** — პენსიონერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1966 წლის 12 მაისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

81 ამხ. ვ. ბ. ცხოვრებაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი ამხ. ვლადიმერ გედევანის ძე **ცხოვრებაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1966 წლის 12 მაისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

82 ამხ. შ. ვ. თევდორაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო განათლებისა და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის განყოფილების გამგე

ამხ. შალვა ვარლამის ძე **თევდორაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1966 წლის 12 მაისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

83 ამხ. ა. ვ. ჩოხელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, მშრომელთა დეპუტატების დუშეთის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ალექსანდრე ვასილის ძე **ჩოხელი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1966 წლის 12 მაისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

84 ამხ. ვ. ა. გოგბრონიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, მშრომელთა დეპუტატების ბორჯომის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვალერიან ანდრიას ძე **გოგბრონიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1966 წლის 12 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

85 ამხ. ა. ფ. ტაკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, მახარაძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების ნატანების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. არტემ ფილიპეს ძე **ტაკიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1966 წლის 12 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

86 ამხ. თ. ა. ჭერაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის ინსტრუქტორი ამხ. თამარ ალექსის ასული **ჭერაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1966 წლის 12 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

87 ამხ. ბ. ნ. მხეიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, თბილისის ელექტროტექნიკური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ამხ. ბესარიონ ნოეს ძე **მხეიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1966 წლის 12 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

88 გაზეთ „კოლმეურნეს“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაჭრის საქმეში აქტიური საგიტაციო-პროპაგანდისტული და ორგანიზატორული მოღვაწეობისათვის, მეხუთეათასე ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით, სიღნაღის რაიონული გაზეთი „კოლმეურნე“ დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1966 წლის 20 მაისი.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის სხდომა.

კომისიამ განიხილა საქართველოს სს რესპუბლიკაში ინვალიდთა სახლების მუშაობის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 29 იანვრის დადგენილების შესრულების მდგომარეობა. აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ პ. გელბახიანმა. კომისიამ აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების მიღების შემდეგ საგრძნობლად გაუმჯობესდა ინვალიდთა სახლების მუშაობა. გაუმჯობესდა კულტურულ-მასობრივი მუშაობა ინვალიდთა შორის. ინვალიდებისათვის სისტემატურად ეწყობა ლექციები, საუბრები; მათ უჩვენებენ კინოსურათებს, აწყობენ მხატვრული თვითმოქმედების საღამოებს და სხვა.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ ამხ. ზ. კახიანმა, ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ამხ. ვ. ჯინჯიხაძემ, სოცუზრუნველყოფის მინისტრის მოადგილემ ამხ. ბ. აკიმენკომ, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ვ. ყურაშვილმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ს. კობალაძემ, მუდმივი კომისიის წევრმა მ. აბზიანიძემ და სხვებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიამ დაადგინა ეს საკითხი განსახილველად შეიტანოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

* *
*

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობისა და ტრანსპორტის მუდმივი კომისიის სხდომამ, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, განიხილა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს უფროსის ამხ. გ. რობიტაშვილის მოხსენება „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

კომისიაზე აღინიშნა, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის გზების გაუმჯობესების საქმეში მოპოვებულია გარკვეული წარმატებები, საგრძნობლად გაიზარდა შრომითი რესურსები და ფულადი სახსრები ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რემონტისა და მოვლა-პატრონობისათვის. მნიშვნელოვან მუშაობას ატარებენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები; კოლმეურნეობები, ყოველწლიურად, განუყოფელი ფონდებიდან ხარჯავენ დიდ თანხებს გზების კეთილმოწყობის, კაპიტალური ხიდების მშენებლობისა და რემონტისათვის.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ ი. ხვედელიანმა, კომისიის მდივანმა ვ. ებრალიძემ, კომისიის წევრმა ი. ბააკაშვილმა და სხვებმა.

კომისიამ დაადგინა, რომ ეს საკითხი განსახილველად წარუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

ამავე კომისიის მიერ განხილულ იქნა შრომის და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის მდგომარეობა ჭიათურის, ტყიბულის, ტყვარჩელისა და ახალციხის მაღაროებსა და შახტებში. მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა მუდმივი კომისიის წევრმა ვ. ღოღობერიძემ.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ შემოწმებულ შახტებსა და მაღაროებში გარკვეული ნაკლოვანებებია შრომის და უსაფრთხობის ტექნიკის დაცვის საქმეში.

საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს: საქნახშირის კომბინატის მმართველის მოადგილემ ამხ. ლ. რატიანმა, ახალციხის ქვანახშირის მაღაროთ სამმართველოს უფროსმა ამხ. მ. ხვთისიევმა, ტყიბულქვანახშირის ტრესტის მმართველმა ამხ. ნ. კვინიხიძემ, ტრესტ ჭიათურმარგანეცის ტექნიკური უსაფრთხობის განყოფილების უფროსმა ამხ. ლ. ცუცქირიძემ, ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მთავარმა ინჟინერმა ამხ. გ. მიქაშავიძემ, კომისიის თავმჯდომარემ ი. ხვედელიანმა და სხვებმა.

კომისიამ გადაწყვიტა, რომ შემოწმებული მასალები განსახილველად და სათანადო ზომების მისაღებად გაეგზავნოს საქნახშირის კომბინატს და ტრესტ ჭიათურმარგანეცს, რომლებმაც 1966 წლის ბოლოსთვის მუდმივ კომისიას უნდა წარმოუდგინონ ინფორმაცია ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის მიზნით გატარებულ ღონისძიებათა შესახებ.

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1966 წლის 12 მაისის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დააჯილდოვა 248 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან		47
ქ. ქუთაისიდან		10
ქ. ჭიათურიდან		28
ქ. ფოთიდან		5
ქ. ტყიბულიდან		11
ასპინძის	რაიონიდან	2
ახალციხის	„	13
ბოგდანოვკის	„	10
ბორჯომის	„	7
გორის	„	18
გურჯაანის	„	2
ზესტაფონის	„	14
ზუგდიდის	„	22
თელავის	„	13
თიანეთის	„	7
მცხეთის	„	9
სიღნაღის	„	8
ყაზბეგის	„	6
ყვარლის	„	8
ჩოხატაურის	„	4
წყალტუბოს	„	4